



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 137/ს  
24/03/2023

137-21-4-202303241327



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში საქართველოს საავტომობილო გზების  
დეპარტამენტის მიერ მდ. ჭახვათას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების  
განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში მდ. ჭახვათას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში, მდ. ჭახვათას მარცხენა ნაპირზე. ეროზირებული უბნები საფრთხეს უქმნის კერძო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებს, ასევე, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზასა და მასზე განთავსებულ კომუნიკაციებს. ავარიულ უბნებზე შეინიშნება მდ. ჭახვათას ზემოქმედების შედეგად გარეცხილი კალაპოტის ფერდები, ხოლო საავტომობილო გზის გვერდულებზე - გრუნტის ჯდენით გამოწვეული ბზარები. ავარიული უბნების დასაცავად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მდ. ჭახვათას მარცხენა ნაპირის სამ უბანზე გათვალისწინებულია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, დაზიანებული უბნების რეაბილიტაცია გაბიონის კედლების მოწყობით. საპროექტო ტერიტორიის საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია: I უბანი - X-735454, Y-4646575; X-735462, Y-4646572; X-735409, Y-4646495; X-735417, Y-4646496. II უბანი - X-735405, Y-4646494; X-735400, Y-4646488; X-735368, Y-4646516, X-735357, Y-4646519. III უბანი - X-735190, Y-4646374; X-735186, Y-4646366; X-735148, Y-4646397; X-735444, Y-4646390. უახლოესი საცხოვრებელი სახლი I უბნიდან დაშორებულია დაახლოებით 10 მეტრით, II უბნიდან - 20 მეტრით, ხოლო III უბნიდან - 15 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში პირველ ავარიულ უბანზე გათვალისწინებულია 96 მ სიგრძის, მეორე ავარიულ უბანზე - 62 მ სიგრძის და მესამე ავარიულ უბანზე - 50 მ სიგრძის გაბიონის კედლის მოწყობა (ჯამურად 208 მ). სამივე ავარიულ უბანზე განთავსდება მსგავსი კონსტრუქციის გაბიონის კედლები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ოთხ დონედ განლაგებული გაბიონის ყუთების სახით (ზომით 2.0X1.0X0.1 მ, 1.5X1.0X0.1 მ და 2.0X1.0X0.5 მ). გაბიონის კედლის ნიშნული მდებარეობს მდინარის საერთო გარეცხვის ნიშნულზე მაღლა, შესაბამისად, კედლების ძირის გარეცხვისაგან დასაცავად, ისინი განთავსდება გაბიონის ლეიბების წყობაზე

(თითოეული ლეიბი ზომით 6.0X2.0X0.3 მ). გაბიონის კედლები იქნება მრუდხაზოვანი და გაუყვება მდინარის კალაპოტს. გაბიონის კედლების კონსტრუქციის უკანა მხარე და ძირის გარკვეული ნაწილი მოეწყობა გეოტექსტილზე. გაბიონის კედლების მოწყობის შემდეგ, კედლების უკანა სივრცე შეივსება დრენირებადი ხრეშოვანი გრუნტით (ეტაპობრივი ტკეპნით შრეებად). ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება 4 ცალი ავტოთვითმცლელი, 1 ცალი ბულდოზერი, 1 ცალი ექსკავატორი და 2 ცალი ამწე. ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები განლაგდება ავარიული მონაკვეთის სიახლოვეს არსებული გრუნტის გზის მიმდებარედ. ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდგომ, საპროექტო ტერიტორია დასუფთავდება, გატანილი იქნება ნარჩენები და გაყვანილი იქნება ტექნიკა/სატრანსპორტო საშუალებები. ნაპირსამაგრი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს, განხორციელდება თანმიმდევრულად 3 ეტაპად და დასაქმდება 15 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ჭახვათას და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, სამშენებლო ტექნიკის გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდგომ წყალში მობინადრე სახეობებისათვის მოსალოდნელია დადებითი ეფექტი, ვინაიდან შემცირდება ეროზიული პროცესების განვითარების და შესაბამისად წყლის სიმღვრივის მატება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. გაბიონის კედლების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავენ მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში არსებული ლიცენზირებული კარიერები (ზიდვის მანძილი დაახლოებით 20 კმ). ინერტული მასალის საპროექტო მოედანზე შემოტანა განხორციელდება დაახლოებით 20 დღის მანძილზე ავტოთვითმცლელით, რისთვისაც საჭირო იქნება დღიურად დაახლოებით 4 რეისის განხორციელება. ინერტული მასალის სამშენებლო მოედანზე ტრანსპორტირება მოხდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზით. ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო ინერტული მასალის საერთო რაოდენობა შეადგენს 1800 მ<sup>3</sup>-ს. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების წყაროს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა. ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (3 თვე) გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება დროებითი და არ იქნება

მნიშვნელოვანი. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვება მოხდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სამუშაოების დასრულების შემდგომ, საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საპროექტო არეალის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევების შედეგები. საკვლევი უბნის ფარგლებში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე გამოიყო შემდეგი ფენები - საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (სგე): სგე 1- თიხნარი, მოყვითალო-ყავისფერი, ძნელპლასტიკური და სგე 2 - თიხნარი, ნაცრისფერი, ძნელპლასტიკური. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში მოიხსნება დაახლოებით 40 მ<sup>3</sup> მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობდება მიმდებარე ტერიტორიაზე. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ მიწის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისათვის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე 8 სმ-ზე მაღალი დიამეტრის მქონე ხეების ჭრა გათვალისწინებული არ არის. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისათვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის და შეინიშნება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს სხვა, მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელება არ მიმდინარეობს და არც მომავალშია დაგეგმილი. ამასთან, ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი არ არის. მდ. ჭახვათას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება გარემოსდაცვითი ხასიათისაა, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის მდგომარეობა და მოწყობილი ნაგებობა დადებითად შეერწყმება ლანდშაფტურ გარემოს.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე.**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში მდ. ჭახვათას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო